

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
შპს „დაგი +“ -ის დირექტორის

გიგა ფალიანის

სკრინინგის განცხადება

წარმოგიდგენთ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერაში კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიაზე (საკ. კოდ: 88.09.22.011; 88.09.22.075) შპს „დაგი+“-ის (ს/კ412671657) ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს. შპს „დაგი+“-ის ბეტონის საწარმოსთვის შემუშავებული ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს 2021 წლის 11 მაისს (სამინისტროს წერილი N4871/01, 17/05/2021 წელი).

კომპანი შპს „დაგი +“-ს ბეტონის საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი აქვს განახორციელოს ცვლილებები და დამატებით მოაწივოს ქვიშა-ხრემის სამსხვრევი საწარმო (სამსხვრევი დანადგარის განთავსების GPS-კოორდინატი: X-378602, Y-4719993).

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „დაგი +“-ის საწარმოს დაგეგმილი აქვს ცვლილების განხორციელება, აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობაა, იმავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა საწარმოს სკრინინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია sph ფაილებთან ერთად

პატივისცემით,

შპს „დაგი +“ (ს/კ 412671657)

დირექტორი:

გიგა ფალიანი (პ/ნ21001009400)

ტელ: 596-22-22-12



[გ. ფალიანი]

11.03.2024 წელი

შპს „დაგი +“

ონის მუნიციპალიტეტი სოფელი უწერა

ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლა

სკრინინგის ანგარიში

შინაარსი

N	შინაარსი	გვ.
1	შესავალი	3
2	ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ	4
3	ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ ცხრილი NI, საკადასტრო გეგმა, ნახაზი 1 გაფრქვევის წყაროები	5-8
4	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობის ანგარიში	8-11
5	ბეტონის საწარმოში განსახორციელებელი ცვლილებები	12
6	საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა	12-13
7	საწარმოს ნედლეულით მომარაგება	14
8	საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლის არინება	15-17
9	საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში შესაძლო ზემოქმედება	18
10	ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე	18
11	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები	19
12	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობის ანგარიში	20-24
13	საწარმოს ექსპლუატაციისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედება	25-26
14	საწარმოს წყალმომარაგება , კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება	26-28
15	ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე	28
16	ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება	29-31
17	ნიადაგის , გრუნტის , მიწისქვეშა და ზედაპირული წყლის დაბინძურება	31
18	საშიში გეოლოგიური მოვლენის განვითარების რისკი	32
19	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	32
20	ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება	32
21	ნარცენების წარმოქმნის და მართვის მოსალოდნელი ზემოქმედება ნარცენებით გარემოს დაბინძურების რისკები	32-33
22	კუმულაციური ზემოქმედება	33
23	სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება	34
	დანართი	35

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერაში კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიაზე (საკ. კოდ: 88.09.22.011; 88.09.22.075) შპს „დაგი“-ის (ს/კ412671657) ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს.

2021 წელიდან კომპანია შპს „დაგი“-ს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ უწერაში კომპანიის საკუთრებაში (GPS-კოორდინატი: X-378575, Y-4719944) არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც შეადგენს 5500 კვ.მ, (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 88.09.22.011; 88.09.22.075.) 2021 წლიდან მოწყობილი აქვს ბეტონის საწარმო.

შპს „დაგი“-ის ბეტონის საწარმოსთვის შემუშავებული ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს 2021 წლის 11 მაისს (სამინისტროს წერილი N4871/01, 17/05/2021 წელი).

კომპანი შპს „დაგი +“-ს ბეტონის საწარმოს ტერიტორიაზე დაგეგმილი აქვს განახორციელოს ცვლილებები და დამატებით მოაწყობ ქვიშა-ხრემის სამსხვრევი ხაზი (სამსხვრევი დანადგარების განთავსების GPS-კოორდინატია: X-378602, Y-4719993).

საწარმოს ტერიტორიას ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო სამხრეთით: ცენტრალური საავტომობილო გზა და მდ. რიონი (ობიექტიდან მდინარემდე მანძილი შეადგენს 150 მ-ს). საპროექტო ტერიტორია ყველა მხრიდან შემოღობილია, ხოლო ზედაპირი მომანდაკებულია და წარმოადგენს ე.წ ტექნოგენურ გრუნტს. ტერიტორიაზე მოწყობილია ბეტონის წარმოებისთვის საჭირო აგრეგატები. უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 0,45 კმ მანძილის დაშორებით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი 0,40 კმ მანძილზე (საკ. კოდი: 88.09.23.081)

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამუშავება წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ შპს „დაგი +“-ის საწარმოს დაგეგმილი აქვს ცვლილების განხორციელება, აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობაა, იმავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, გზმ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა საწარმოს სკრინინგის ანგარიში.

2. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

შპს „დაგი +“-ის საწარმო ახორციელებს წელიწადში 40 000 მ³ ბეტონის წარმოებას. ბეტონის საწარმო წელიწადში მუშაობს 215 დღე, 8 სთ-იანი გრაფიკით. აღნიშნული რაოდენობის პროდუქციის დასამზადებლად საწარმოს წელიწადში ესაჭიროება ნედლეული: ქვიშა - 25 000მ³/წელ, ღორღი-20 000მ³ /წელ, ცემენტი -10 000 ტ/წელ წყალი - 20 000მ³/წელ. საწარმოში ბეტონის წარმოებისთვის საჭირო წვრილმარცვლოვანი ქვიშა (სილა) და ღორღი შემოიზიდება თვითმცლელების მეშვეობით და განთავსდება ნედლეულის სანაყაროზე, საიდანაც დამტვირთველის მეშვეობით იყრება ბუნკერში. აქედან დახურული ლენტური კონვერით მიეწოდება ორგანყოფილებიან მადოზირებელ - ბუნკერს. საიდანაც იყრება დახურულ ბეტონშელში. ცემეტის მარაგი მოთვასდება სპეციალურ ცემენტსაცავ - 50ტ ტევადობის ორ ცემენტის სილოსში. ცემენტის ჩატვირთვა სილოსებში მოხდება ცემენტშიდმანქანებზე დამონტაჟებული სპეციალური ტუმბო დანადგარით. სილოსებიდან ცემენტი სპეციალური შნეკებით, რომელიც განთავსებულია სილოსების კონუსური ნაწილის გაგრძელებაზე გადადის დოზატორში, სადაც იწონება და იყრება ბეტონშემრევი. სილოსებზე დამონტაჟებულია ქსოვილოვანი ფილტრები 99% იანი მტვერდამჭერით. ბეტონშემრევი დახურულია, ემატება დოზირებული წყლის რაოდენობა და ბრუნავს. მზა ნარევი წარმოადგენს ბეტონს. დამთავრების შემდეგ ბეტონშემრევის ქვედა სარქველი იხსნება და ბეტონი თვითდინებით ჩაიცლება ავტოგადამზიდ საშუალებაზე. საწარმოს გენ-გეგმა მოცემულია ნახაზზე 1. (იხ. დანართი.) საპროექტო ტერიტორია ყველა მხრიდან შემოღობილია, ხოლო ზედაპირი მოშანდაკებულია და წარმოადგენს ე.წ ტექნოგენურ გრუნტს. ტერიტორიაზე მოწყობილია ბეტონის წარმოებისათვის საჭირო აგრეგატები.

საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N1

ცხრილი N1


წერტ.N	წერილის GPSკოორდინატები	
	X	Y
1	378643.88	4719996.70
2	378621.06	4719995.81
3	378612.20	4719995.92
4	378611.25	4719962.96
5	378551.33	4719960.82
6	378559.65	4719980.66
7	378586.07	4719992.19
8	378609.63	4720015.01
9	378626.80	4720023.55
10	378634.44	4720021.32
11	378619.42	4719963.26
12	378615.94	4719925.05
13	378538.48	4719930.29
14	378551.33	4719960.825

3.ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში N1

ცხრილი N1

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების შესახებ	
საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტის დასახელება	შპს „დაგი +“
საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ 412671657
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ.ქუთაისი, წერეთლის ქ, N192
ფაქტიური მისამართი	ონის მუნიციპალიტეტი სოფელი უწერა
GPS კოორდინატები (UTM WGS1984 კოორდინატთა სისტემა	X-378602, Y-4719993
ეკონომიური საქმიანობის სახე	საამშენებლო მასალების წარმოება (ბეტონის ხსნარი, ქვიშა-ხრეში)
ობიექტის დირექტორი:	
სახელი, გვარი	გიგა ფალიანი
საკონტაქტო ტელეფონი	596 222 212
ელ-ფოსტა	giga-paliani@mail.ru
საკონსულტაციოს ფირმა	შპს „ელსკაუსი“
საკონტაქტო ტელეფონი	591-97-50-90
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	0,40კმ
გამომშვებული პროდუქციის სახეობა	სვადასხვა მარკის 40 000 მ ³ /წელ ბეტონის და 34560 მ ³ /წელ ქვიშა- ღორღის (0-40 მმ ფრაქცია) წარმოება
საპროექტო წარმადობა	ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი საწარმოს წარმადობა 40მ ³ /სთ,
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	სამსხვრევი საწარმოსთვის - ბალასტი 96 000 მ ³ /წელ (163 200 ტ), ბეტონი საწარმოსთვის - ქვიშა-25 000 მ ³ /მ, ღორღი 20 000 მ ³ / წელ და ცემენტი 10 000ტ/წელ
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენების გარდა)	----
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	288 დღე
ტექნოლოგიურ პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში,სთ	8 სთ

საკადასტრო გეგმა




ონი სოფ.უწერა 1) ს/კ 88.09.22.075; 2) ს/კ 88.09.22.011.

ბეტონის საწარმოს განთავსების ადგილი

ექიშა-ხრემის სამსხვრევი ხაზის განთავსების ადგილი (დაგეგმილი ცვლილება)

გენ-გეგმა



1. ინერტული მასალის (ლორდის) განთავსება ღია საწყობზე (გ-1 წყარო)
2. გაფრქვევა ლორდის საწყობიდან (გ-2 წყარო)
3. ინერტული მასალის (ქვიშის) განთავსება ღია საწყობზე (გ-3 წყარო)
4. გაფრქვევა ქვიშის საწყობიდან (გ-4 წყარო)
5. გაფრქვევა ინერტული მასალის მადონიზირებელ ბუნკერში ჩატვისრისას (გ-5 წყარო)
6. გაფრქვევა ლენტური კონვეიერიდან (გ-6 წყარო)
7. გაფრქვევა ცემენტის სილოსებში ჩატვისრვისას (გ-7 წყარო)
8. გაფრქვევა ბეტონშემრევიდან (გ-8 წყარო)

ბეტონის საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები:

1. ინერტული მასალის (ღორღის) განთავსება ღია საწყობზე (გ-1 წყარო)
2. ინერტული მასალის (ქვიშის) განთავსება ღია საწყობზე (გ-2 წყარო)
3. გაფრქვევა ღორღის საწყობიდან (გ-3 წყარო)
4. გაფრქვევა ქვიშის საწყობიდან (გ-4 წყარო)
5. გაფრქვევა ინერტული მასალის მადონიზირებელ ბუნკერში ჩატვისრისას (გ-5 წყარო)
6. გაფრქვევა ლენტური კონვეირიდან (გ-6 წყარო)
7. გაფრქვევა ცემენტის სილოსებში ჩატვისრისას (გ- 7 წყარო)
8. გაფრქვევა ბეტონშემრევიდან (გ-8 წყარო)

4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N435) მიხედვით“ და შესრულებულია მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის.

ინერტული მასალის (ღორღის) მიღებისას ღია საწყობიდან (გ-1 წყარო) გაფრქვევის ანგარიში

ინერტული მასალების (ღორღის) ავტოთვიმცლელეებიდან ჩამოცლისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

სადაც,

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 106/3600 \text{ გ/წმ}$$

K_1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია

K_2 - მტვრის მთლიანი მასიდან

აეროზოლში გადასული მტვრის

წილია;

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_4 -გარეშე ზემოქმედებისგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_5 -მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი, ავტოთვიმცლელეებიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2, 10 ტ-ზე მეტის შემთხვევაში აიღება 0,1 სხვა შემთხვევაში იგი აიღება 1 -ს ტოლი.

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

G - წარმადობა ტ/სთ-ში

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდულ კამპი მოცემული დანართებიდან.

ღორღისთვის:

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$K_1 - 0,04; K_2 - 0,01; K_3 - 1,0; K_4 - 1,0; K_5 - 0,1; K_7 - 0,7; K_9 - 0,2; B - 0,5; G - 6,0$ ტ/სთ

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M = 0,04 \times 0,01 \times 1,0 \times 1,0 \times 0,1 \times 0,7 \times 0,2 \times 0,5 \times 6,0 \times 106 / 3600 = 0,00466 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0046 \times 1720 \times 3600 / 106 = 0,0284 \text{ ტ/წელ}$$

ინერტული მასალის (ქვიში) მიღებისას ღია საწყობიდან (გ-2 წყარო) გაფრქვევის ანგარიში

ქვიშისთვის :

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 1,0; K_5 - 0,1; K_7 - 0,8; K_9 - 0,2; B - 0,5; G - 6,0$ ტ/სთ

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,1 \times 0,8 \times 0,2 \times 0,5 \times 6,0 \times 106 / 3600 = 0,024 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,024 \times 1720 \times 3600 / 106 = 0,148 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის (ღორღის) საწყობიდან (გ-3 წყარო)

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

სადაც

$$M_{\text{მტვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_5 = 0,1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია და მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე

$K_7 = 0,8$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ² წმ $f = 500$ მ² - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,2 \times 0,8 \times 0,002 \times 700 = 0,1152 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,1152 \times 8760 \times 3600 / 106 = 3,632 \text{ ტ/წელ}$$

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

სადაც,

$$M_{\text{მტვრ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5=0,1$ -მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე

$K_7 = 0,8$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ2წმ

$f = 700$ მ2 –ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,2 \times 0,8 \times 0,002 \times 700 = 0,161 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,161 \times 8760 \times 3600 / 106 = 5,086 \text{ ტ/წელ}$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის მადონიზირებელ ბუნკერში ჩატვისრთვისას (გ-5 წყარო)

განგარიშება ხდება გ-1 წყაროს ანალოგიურად

ქვიშისთვის:

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$K_1 - 0,05$; $K_2 - 0,03$; $K_3 - 1,2$; $K_4 - 0,5$; $K_5 - 0,1$; $K_7 - 0,8$; $K_9 - 0,2$; $B - 0,4$; $G - 6,0$ ტ/სთ

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M_{\text{მტვ.}} = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 0,5 \times 0,1 \times 0,8 \times 0,2 \times 0,4 \times 6,0 \times 106 / 3600 = 0,0096 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ.}} = 0,0096 \times 1720 \times 3600 / 106 = 0,059 \text{ ტ/წელ}$$

ღორღისთვის:

$$M_{\text{მტვ.}} = 0,01 \times 0,001 \times 1,2 \times 0,5 \times 0,1 \times 0,8 \times 0,2 \times 0,4 \times 6,0 \times 106 / 3600 = 0,000064 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ.}} = 0,000064 \times 1720 \times 3600 / 106 = 0,000396 \text{ ტ/წელ}$$

სულ გ-5 წყაროდან

$$M_{\text{მტვ.}} = 0,00966 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ.}} = 0,0567 \text{ ტ/წელ}$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში მასალის ლენტური კონვერით გადაადგილებისას (გ-6 წყარო) ნედლეული მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევი იანგარიშება ფორმულით:

$$M_{აგ.} = W \times K \times B \times L \times 103 \text{ გ/წმ}$$

სადაც,

W - ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევა და ტოლია 3×10^{-5} კგ/მ² წმ K- ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1 მ -ის

B- ლენტის სიგანეა და ტოლია 0,7 მ

L- ლენტის ჯამური სიგრძეა და ტოლია 25მ

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით:

$$M_{აგ.} = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 0,7 \times 25 \times 103 = 0,0525 \text{ გ/წმ}$$

$$G_{მტვ.} = 0,0525 \times 1720 \times 3600 / 106 = 0,325 \text{ ტ/წელ}$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ცემენტის სილოსებში ჩატვირთვისას (გ-7 წყარო)

ცემენტი საწარმოში შემოიზიდება ცემენტშიდ მანქანებით და იყვრთება 50 ტ ტევადობის სილოსებში (2 სილოსი) მანქანაზე დამონტაჟებული სპეციალური ტუმბო დანადგარით. სილოსებზე დამონტაჟებულია ქსოვილოვანი ფილტრი 99%-იანი მტვერდამჭერით. 40 000 მ³ ბეტონის საწარმოებლად საჭიროა 10 000 ტ ცემენტი. ბეტონის წარმოებაში ყოველი 1 ტ ცემენტის გადატვირთვისას სილოსებში გამოიყოფა 0,8 კგ ცემენტის მტვერი, ამიტომ ცემენტის მტვრის წლიური გამოყოფა ტოლი იქნება:

$$G_{მტვ.} = 10\ 000 \times 0,8 / 103 = 8 \text{ ტ/წელ}$$

ხოლო 99% -იანი გაწმენდის შემდეგ

$$G_{მტვ.} = 8 \times 0,01 = 0,08 \text{ ტ/წელ}$$

პრაქტიკული დაკვირვებებით დაგდენილია რომ 1ტ ცემენტის ჩატვირთვისას სილოსებში ჭირდება საშუალოდ 1წთ, აქედან გაომდინარე 10 000 ტ ცემენტის ჩატვირთვის ოპერაციაზე წელიწადში დაჭირდება 10 000 წთ, ანუ 166 სთ.-ი ამდენად, $M_{აგ.} = 0,08 \times 106 / 166 \times 360 = 0,13 \text{ გ/წმ}$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ბეტონმზელიდან (გ-8 წყარო)

ბეტონშემრევიდან ინერტული მასალების და ცემენტის რაოდენობები იანგარიშება სააგნარიშო მეთოდის 87 დანართიდან, რომლის თანახმად 1 ტ ცემენტისა და ინერტული მასალების ბეტონის შემრევი ჩაყრისას მტვრის გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 0,05ტ/კგ. აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ პორცესი სველია, გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება:

ცემენტის მტვერი :

$$G_{მტვ.} = 10\ 000 \times 0,05 \times 0,01 / 1000 = 0,005 \text{ ტ/წელ}$$

$$\text{ინერტული მასალის მტვერი: } G_{მტვ.} = 45\ 000 \times 0,05 \times 0,01 / 1000 = 0,0225 \text{ ტ/წელ}$$

მტვრის გამოყოფის წამური ინტენსივობა იქნება:

$$M_{ცემ.} = 0,005 \times 10^6 / 1720 \times 3600 = 0,0008 \text{ გ/წმ}$$

$$M_{აგ.} = 0,0225 \times 10^6 / 1720 \times 3600 = 0,036 \text{ გ/წმ}$$

სულ საწარმოდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა იქნება:

არაორგანული მტვერი - 9,27 ტ/წელ ცემენტის

მტვერი - 0,10ტ/წელ

5. ბეტონის საწარმოში განსახორციელებელი ცვლილებები

კომპანია შპს „დაგი +“-ს დაგეგმილი აქვს ბეტონის საწარმოს ტერიტორიაზე განახორციელოს ცვლილებები და დამატებით მოაწიოს ქვიშა-ხრემის სამსხვრევი ხაზი (სამსხვრევი დანადგარების განთავსების GPS-კოორდინატია: X-378602, Y-4719993).

პროექტის მიხედვით სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს წარმადობა საათში იქნება 40მ³ -ს, მსხვრევის პროცესის ხანგრძლივობა დღე-ღამეში შეადგენს 8 სთ-ს, სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში არის 300 დღე. სამუშაო საათების რაოდენობა 2400სთ წელიწადში. ამ პარამეტრების გათვალისწინებით საწარმო წელიწადში სამსხვრევი საწარმო განახორციელებს 96 000 მ³/წელ (163 200 ტ) ქვიშა-ხრემის დამსხვრევას.

საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 12 კაცი, რომლებიც იმუშავენ ერთცვლიანი რეჟიმით, 6 დღიანი სამუშაო კვირით და 8 სთ-იანი სამუშაო დღით.


საპროექტო ტერიტორიაზე ასევე განთავსდება მუშა პერსონალისთვის ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 2 ბლოკ-კონტეინერის ტიპის შენობა.

6. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი არ არის წარმოდგენილი. ცენტრალური გზიდან საპროექტო ტერიტორიამდე მოწყობილია მისასვლელი გრუნტის გზა. საპროექტო ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი ხაზის მოწყობა დაგეგმილია მიწის ნაკვეთის ჩრდილო ნაწილში, თავისუფალ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიაზე გადამამუშავებელი ხაზის (სამსხვრევი დანადგარების და ღია საწყობების) დანადგარების განთავსება არ საჭიროებს ხე-მცენარეების ჭრას.

საწარმოს ტერიტორიაზე იმოქმედებს ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი ერთი ხაზი. ქვიშა-ხრემის მსხვრევის პროცესი განხორციელდება სველი მეთოდით.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტრუქტურის ელემენტები მოიცავს ქვის მსხვრევისა და დახარისხებისათვის გამოყენებულ შემდეგ დანადგარებს: ყბებიანი და როტორული მსხვრევანები, ლენტური ტრანსპორტიორი, კლასიფიკატორი, ვიბროსაცერი, დამახარისხებელი მბრუნავი ცხავი, ნედლეულისა და პროდუქციის ღია საწყობები. (იხ. დანართი, სიტუაციური ნახაზი 2)



ნახაზი2

ტექნოლოგიური პროცესის შედეგად ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა ხდება 16 არარეგულირებადი წყაროდან:

1. ნედლეულის განთავსება ღია საწყობზე (გ-1 წყარო)
2. გაფრქვევა ნედლეულის ღია საწყობიდან (გ-2 წყარო)
3. ნედლეულის ჩაყრა მკვებავ ბუნკერში (გ-3 წყარო)
4. მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვა (გ-4 წყარო)
5. ყბებიანი მსხვრევანა (გ-5 წყარო)
6. როტორული მსხვრევანა(გ-6 წყარო)
7. ლენტური ტრანსპორტიორით გადადგილება(გ-7 წყარო)
8. მბრუნავი ვიბროცხავი (გ-8 წყარო)
9. გაფრქვევა მიღებული პროდუქციის ღია საწყობებიდან (გ-9, გ-10გ, გ-11, გ-12 წყარო)
10. გაფრქვევა ნკვებავი ბუნკერიდან (გ-13 წყარო)
11. გაფრქვევა ყბებიანი სამსხვრევიდან (გ-14 წყარო)
12. გაფრქვევა ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-15 წყარო)
13. გაფრქვევა მზა პროდუქციის საწყობიდან (გ-16 წყარო)

ნედლეული შემოიზიდება ავტოთვიმცლელებით და დასაწყობდება ნედლეულის ღია საწყობზე, საიდანაც დამტვირთელის მეშვეობით ჩაიყრება მიმღებ ბუნკერში. მიმღები ბუნკერიდან ტრანსპორტიორით მიეწოდება ვიბროსაცერს. აქვე მიეწოდება წყალი და მოხდება რეცხვა. განარეცხი მასა ღარის მეშვეობით ხვდება კლასიფიკატორში. აქედან ლენტური ტრანსპორტიორით გარეცხილი ქვიშა დაიყრება ბაქანზე. ვიბროცხავიდან გარეცხილი მასა ლენტური ტრანსპორტიორით (მსხვილი ზომის ნედლეული) მიეწოდება ყბებიან სამსხვრეველას, სამსხვრევიდან დამტვირთელი ქვა (0-20მმ ფრაქცია) ჩამოიყრება ტრანსპორტიორის ლენტაზე, რომლითაც მიეწოდება როტაციულ სამსხვრეველას, საიდანაც დამსხვრეული მასა ტრანსპორტიორით გადადის მბრუნავ ვიბროცხავზე მბრუნავი ვიბროცხავი შედგება სამი სხვა და სხვა ზომის ცხაურისაგან. პირველად დამაგრებულია 0-5მმ იანი ზომის ცხაური, შუაში 5-10 მმ -იანი და ბოლოს 10-20 მმ -იანი. დამსხვრეული ქვის საცერში გავლის დროს საცერი ბრუნავს დაბალი სიჩქარით, პირველი განყოფილებიდან გამოიყოფა 0-5 მმ ფრაქცია, მეორედან 5-10 მმ, მესამედან 10-20 მმ -იანი. ვიბროსაცერიდან ჩამოყრილი სამი ფრაქციის მზა პროდუქცია გადაიტანება პროდუქციის შესაბამის ღია საწყობებზე.

7. საწარმოს ნედლეულით მომარაგება

საწარმოში ნედლეულის შემოტანა და პროდუქციის გატანა განხორციელდება ავტოტრანსპორტით. საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელი გზა არ გადის დასახლებულ პუნქტზე. საწარმო ცენტრალურ ავტომაგისტრალს (ქუთაისი-მოწამეთა-ტყიბული-ამბროლაური) უკავშირდება 12მ სიგრძის გრუნტის გზით.

საწარმოს საპროექტო წარმადობა საათში შეადგენს 40მ³-ს, რაც საშუალოდ შეადგენს საათში 3 გადაზიდვას და 20-25 გადაზიდვას დღეში. საწარმომდე მისასვლელი გზების კატეგორიების შესაბამისად გადაზიდვის აღნიშნული ინტენსივობა მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს სატრანსპორტო ნაკადზე. ასევე, პროდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება საფარველით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით.

საწარმოს ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის შემოზიდვა განხორციელდება ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჭიორას მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „დაგი +“-ის კუთვლი კარიერიდან, მდ. რიონზე „ჭიორის“ ქვიშა-ხრემის მოპოვების სასარგებლო წიაღისეულის ლიცენზია (ლიც.N10002542), საიდანაც საწარმოს ექსპლუატაციისას განხორციელდება ნედლეულით მომარაგება. პირდაპირი მანძილი საწარმოდან აღნიშნულ კარიერამდე შეადგენს დაახლოებით 14,9 კმ. ნედლეულის ტრანსპორტირება მოხდება უკვე არსებული მოქმედი საავტომობილო გზით. (ტრანსპორტირების სქემა N3)

კომპანია შპს „დაგი +“ ის მიერ ნედლეულის საწარმოში შემოტანა/ტრანსპორტირება მოხდება უკვე არსებული საავტომობილო გზების მეშვეობით. აღნიშნული გზა არ კვეთს დასახლებულ პუნქტს.



ნედლეულის ტრანსპორტირების სქემა N3

8. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება

საპროექტო საწარმოს როგორც მოწყობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე ესაჭიროება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყლით მომარაგება.

შპს „დაგი +“-ს ბეტონის საწარმოს ექსპლუატაციისას საწარმოო დანიშნულებით წყალაღებას ახორციელებს უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტიდან მდ. რიონის შენაკადიდან „უსახელო ღელედან“. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-378631, Y-4720043, სადაც მოწყობილია სატუმბი სადგური, რაზედაც შპს „დაგი +“-ს სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს წყალაღების ტექნიკური რეგლამენტი 2021 წლის 21 ივნისს.

საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალი შემოიტანება გადასატანი რეზერვუარების საშუალებით, როგორც დასახლებული პუნქტის წყალსადენიდან, ასევე საცალო ვაჭრობის ქსელიდან. საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 12 კაცი, რომლებიც იმუშავებენ დღეში ერთცვლიანი 8სთ-იანი რეჟიმით. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის და ერთ მომუშავეზე დახარჯული წყლის რაოდენობაზე. ერთ სულზე წყლის მაქსიმალური ხარჯი დღის განმავლობაში შეადგენს 45 ლ-ს. წელიწადში 300 სამუშაო დღის და ერთცვლიანი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელი წყლის საანგარიშო ხარჯი იქნება:

$$12 \times 45 = 540 \text{ ლ/დღეში, ანუ } 0,54 \text{ მ}^3/\text{დღეში,}$$

$$0,54 \text{ მ}^3 \times 300 \text{ დღე} = 162 \text{ მ}^3/\text{წელ}$$


საწარმოო მიზნით წყლის გამოყენება მოხდება ქვიშა-ხრეშის სველი მეთოდით მსხვრევა-დახარისხებისათვის. დაგეგმილი წარმადობისა და ტექნოლოგიური რეჟიმის შესაბამისად, საწარმოსათვის ტექნიკური წყლის საჭირო საათური ხარჯი იქნება 80მ³, დღეში 640 მ³, წელიწადში საჭირო წყლის რაოდენობა იქნება: 192 000 მ³/წელ.

ამისთვის კომპანიას დასჭირდება ახალი წყალაღების წერტილი, ზედაპირული წყლის ობიექტიდან მდ. რიონის შენაკადიდან „უსახელო ღელედან“. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-378658 , Y-4719962, სადაც მოეწყობა სატუმბი სადგური.


საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე არ არის საკანალიზაციო ქსელი, ამიტომ კომპანიის საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შეკრება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომლის მომსახურებაც მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოო ჩამდინარე წყლებისთვის პროექტით გათვალისწინებულია სამსაფეხურიანი გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, (GPS კოორდინატია: X-378639, Y-4719929) რომლის საერთო მოცულობა იქნება 500მ³. სალექარის გავლის შემდეგ ჩამდინარე წყალი ჩაშვებული იქნება გამყვანი კოლექტორით მდ. რიონის შენაკადში „უსახელო ღელეში“ ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატია: X-378667, Y-4719908. (იხ. სალექარის სქემა 4)

წყალგამწმენდი ნაგებობის (სალექარის) სქემა



სალექარის გვერდითი კრილი



საწარმოო ჩამდინარე წყლები დაბინძურებული იქნება შეწონილი ნაწილაკებით, ამ წყლების გაწმენდა მოხდება სამსაფეხურიანი სალექარით, რომელიც მოეწყობა საწარმოს ტერიტორიაზე. სალექარის საშუალებით მოხდება როგორც საწარმოო წყლის, ასევე ტერიტორიაზე მოგროვილი სანიაღვრე წყლების ჩადიბნება, დაყოვნება, გაწმენდა და „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების შესაბამისად შემდგომ მისი მდინარეში ჩაშვება.

საწარმოდ მოხმარებული წყლის უმეტესი ნაწილის დაახლოებით 75% გადადის ჩამდინარე წყალში, რომლის ნაწილი პირდაპირ ჩაედინება სალექარში და ნაწილი მზა პროდუქციის სანაყაროებიდან დაწრეტილი იგივე სალექარში. საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში მოსალოდნელი წყალჩაშვება სამსხვევის ფუნქციონირებისას წლის განმავლობაში იქნება 144 000მ³. საწარმოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების შედეგად წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მოცულობა დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექების

რაოდენობაზე და ტერიტორიის ზედაპირის მახასიათებელ პარამეტრებზე. არსებული მეთოდოლოგიით სანიაღვრე წყლების მოცულობა იანგარიშება ფორმულით:

$$Q=10xFxHxK$$

სადაც,

Q - სანიაღვრე წყლების მოცულობა მ³/დღე

F - ტერიტორიის ფართობი ჰა-ში, მიღებულია 0,74 ჰა

H - ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა (ონის რაიონში ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა 1000—1100 მმ წელიწადში, საათური მაქსიმუმი 11მმ)

K- კოეფიციენტი რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე, რაც მოცემულ შემთხვევაში ხრემის საფარისთვის აღებულია 0,04.

გათვლების შედეგები შემდგენაირია:

$$Q_{წელ}=10 \times 0,74 \times 1100 \times 0,04 = 325,6 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

$$Q_{სთ}=10 \times 0,74 \times 11 \times 0,04 = 3,2 \text{ მ}^3/\text{სთ}$$

ჯამური წყლის ჩაშვება სალექარში დამუშავებული მასალისა და წლიური მაქსიმალური სანიაღვრე წყლების წარმოქმნის გათვალისწინებით იქნება 144 000 + 325,6= 144325,6მ³/წელ. გამწმენდი ნაგებობის (სალექარის) პარამეტრები გათვლილი იქნება მაქსიმალურ წარმადობაზე, რომელიც იქნება 450 მ³/დღეში. სალექარის გავლის შემდეგ გაწმენდილი ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება მდ. რიონის შენაკადში „ უსახელო ღელე“ში. ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X -378667, Y-4719908.

საწარმოო წყლის მექანიკური გაწმენდის შემდეგ, შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია ჩამდინარე წყალში არ უნდა აღემატებოდეს 60მგ/ლ-მდე. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნის მიხედვით დგინდება მოცემულ შემთხვევაში ჩამდინარე წყლების ხარისხის ტიპიური მაჩვენებელი: 60მგ/ლx60მ³ /სთ=1200გრ/სთ. შესაბამისად შეწონილი ნაწილაკების წლიური ჩაშვებული რაოდენობა იქნება:

$$Q_{წელ}= 1200 \times 2400 = 2\,880\,000 \text{ გრ}/\text{წელ} = 2,88 \text{ ტ}/\text{წელ}$$

9. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით, ხმაურის გავრცელებით, ნიადაგის ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების შესაძლო დაბინძურებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით, ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმო ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის და სხვა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

10. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს ბეტონის საწარმო და ქვიშა-ხრეში სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარები. დაგეგმილი პროექტის შესაბამისად ქვიშა-ხრეშის მსხვრევის პროცესი იწარმოებს სველი მეთოდით. ამის გამო უმნიშვნელოა მტვრის წარმოქმნა, როგორც სამუშაო ადგილზე ასევე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. ქვის მსხვრევისა და დახარისხების პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი.

მტვრის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ყველა ტექნოლოგიური პროცესი და დანადგარი. სამშენებლო მასალების წარმოებისას არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროებიდან გაფრქვევის გაანგარიშების ნეთოდური მითითებების შესაბამისად 3%-ზე მეტი ტენიანობის მქონე ქვიშისა და 20%-ზე მეტი ტენიანობის მასალების სხვა შემთხვევაში გაფრქვევები უნდა ჩაითვალოს 0-ს ტოლად. ამის გათვალისწინებით გაფრქვევის გაანგარიშება არ მოხდება ვიბროცხავისა და კლასიფიკატორის მუშაობისას და ქვიშის ბაქანზე განთავსებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მტვრის გამოყოფის და გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს:

- ნედლეულის განთავსება ღია საწყობზე
- გაფრქვევა ნედლეულის ღია საწყობიდან
- ნედლეულის ჩაყრა მკვებავ ბუნკერში
- მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვა
- ორი ყბებიანი მსხვრევანა
- როტორული მსხვრევანა
- ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება
- მბრუნავი ვიბროცხავი
- გაფრქვევა მიღებული პროდუქციის ღია საწყობებიდან

11. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ინერტული მასალის არაორგანული მტვერი ამ ნივთიერებების კოდი და ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში N 2.

ცხრილი 2. მოცემულია ამ ნივთიერების მახასიათებელი სიდიდე

ცხრილი N2

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2908	ინერტული მასალის მტვერი	0,5	0,15	3

ტექნოლოგიური პროცესის შედეგად ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა ხდება 16 არაორგანიზებული წყაროდან:

1. ნედლეულის განთავსება ღია საწყობზე (გ-1 წყარო)
2. გაფრქვევა ნედლეულის ღია საწყობიდან (გ-2 წყარო)
3. ნედლეულის ჩაყრა მკვებავ ბუნკერში (გ-3 წყარო)
4. მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვა (გ-4 წყარო)
5. ყბებიანი მსხვრევანა (გ-5 წყარო)
6. როტორული მსხვრევანა (გ-6 წყარო)
7. ლენტური ტრანსპორტიორით გადადგილება (გ-7 წყარო)
8. მბრუნავი ვიბროცხავი (გ-8 წყარო)
9. გაფრქვევა მიღებული პროდუქციის ღია საწყობებიდან (გ-9, გ-10გ, გ-11, გ-12 წყარო)
10. გაფრქვევა ნკვებავი ბუნკერიდან (გ-13 წყარო)
11. გაფრქვევა ყბებიანი სამსხვრევიდან (გ-14 წყარო)
12. გაფრქვევა ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-15 წყარო)
13. გაფრქვევა მზა პროდუქციის საწყობიდან (გ-16 წყარო)

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის(საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N435) მიხედვით“.

ნედლეულის (ქვიშა-ხრემის) ღია საწყობზე ავტოთვითმცლელიდან ჩამოცლის დროს (გ-1 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{ატვრ} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 \times 0,4/3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც

K_1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია

K_2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_4 - გარეშე ზემოქმედებისგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი, ავტოთვითმცლელიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2 ; 10 ტ-ზე მეტის შემთხვევაში აიღება 0,1; სხვა შემთხვევაში იგი აიღება 1 -ს ტოლი.

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტია;

G - წარმადობა ტ/სთ-ში

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდიკაში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$K_1 - 0,05$; $K_2 - 0,03$; $K_3 - 1,2$; $K_4 - 1,0$; $K_5 - 0,01$; $K_7 - 0,4$; $K_9 - 0,1$; $B - 0,5$; $G - 64 \text{ ტ/სთ}$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტესივობა იქნება:

$$M = 0.05 \times 0.03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 0,1 \times 0,5 \times 64 \times 10^6 \times 0.4/3600 = 0.0026 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0.0026 \times 2400 \times 3600/10^6 = 0.0225 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევა ნედლეულის (ქვიშა-ხრემი) ღია საწყობიდან (გ-2 წყარო) წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{ატვრ} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც,

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_5 = 0,1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_6 = 1.2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 16-მდე

$K_7=0,5$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q=0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ² წმ¹

$f=500$ მ²-ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}}=1,2 \times 0,1 \times 1,2 \times 0,5 \times 0,002 \times 500 \times 0,4 = 0,0288 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}}=0,0288 \times 8760 \times 3600/10^6 = 0,908 \text{ ტ/წელ}$$

ნედლეულის მკვებაზე ბუნკერში ჩაყრის დროს (გ-3 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}}=k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 \times 0,4/3600 \text{ გ/წმ}$$

ამ შემთხვევაში კოეფიციენტების მნიშვნელობები შეადგენს:

$$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 0,1; K_5 - 0,01; K_7 - 0,4; K_9 - 0,2; B - 0,5; G - 64 \text{ ტ/სთ}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 0,1 \times 0,01 \times 0,4 \times 0,2 \times 0,5 \times 64 \times 10^6 \times 0,4/3600 = 0,0006 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0006 \times 2400 \times 3600/10^6 = 0,0052 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევის ანგარიში მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვის დროს (გ-4 წყარო)

ამ შემთხვევაში კოეფიციენტების მნიშვნელობები შეადგენს:

$$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,0; K_4 - 0,2; K_5 - 0,01; K_7 - 0,4; K_9 - 1; B - 0,4; G - 64 \text{ ტ/სთ}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,0 \times 0,2 \times 0,1 \times 0,4 \times 1 \times 0,4 \times 64 \times 10^6 \times 0,4/3600 = 0,0342 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0342 \times 2400 \times 3600/10^6 = 0,295 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევა ყბებიანი სამსხვრევიდან (გ-5 წყარო) გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$G_{\text{მტვ}}= G_{\text{სამს.}} \times g \times N \times t \times k / 10^3$$

სადაც $G_{\text{სამს.}}$ არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა რომელიც ტოლია 153 600 ტ/წელ. მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ სველი მასალის მსხვრევისას შეადგენს 0,009 კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (300 დღე/წელ X 8 სთ = 2400 სთ) მივიღებთ:

$$G = 153 \, 600 \times 0,009 \times 0,4 / 10^3 = 0,553 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,553 \times 10^6 / 2400 \times 3600 = 0,0640 \text{ გ/წმ}$$

გაფრქვევის ანგარიში როტორული სამსხვრევიდან (გ-6 წყარო)

გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$G_{\text{მტვ}}= G_{\text{სამს.}} \times g \times N \times t \times k / 10^3$$

სადაც $G_{\text{სამს.}}$ არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა რომელიც ტოლია 153 600 ტ/წელ. მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ სველი მასალის მსხვრევისას

შეადგენს 0,009კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (300დღე/წელ X8სთ = 2400სთ) მივიღებთ: 22

$$G = 153\ 600 \times 0,009 \times 0,4 / 10^3 = 0,553 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,553 \times 10^6 / 2400 \times 3600 = 0,0640 \text{ გ/წმ}$$

მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის ლენტური სტრანსპორტიორით გადაადგილებისას (გ-7 წყარო)

ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = W \times K \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ}$$

სადაც,

W - ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევა და ტოლია 3×10^{-5} კგ/მ² წმ

K- ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1მ -ის

B - ლენტის სიგანეა და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 0,5 მ-ის

L - ლენტის ჯამური ისგრძე და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 20 მ

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით

$$M_{\text{მტვ}} = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 0,5 \times 20 \times 10^3 = 0,0300 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0,0300 \times 2400 \times 3600 / 10^6 = 0,259 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევის ანგარიში მბრუნავი ვიბროცხავიდან (გ-8 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც, აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის აიღება მეთოდიკებში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$K_1 - 0,03$; $K_2 - 0,04$; $K_3 - 1,2$; $K_4 - 0,2$; $K_5 - 1,0$; $K_7 - 0,4$; $K_9 - 1$; $B - 0,4$; $G - 64$ ტ/სთ.

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვ}} = 0,03 \times 0,04 \times 1,2 \times 0,2 \times 1,0 \times 0,4 \times 1 \times 64 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,0524 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0,0524 \times 2400 \times 3600 / 10^6 = 0,181 \text{ ტ/წელ.}$$

გაფრქვევა მიღებული პროდუქციის (ქვიშა და ღორღი) ღია საწყობებიდან (გ-9, გ-10, გ-11, გ-12 წყარო) მიღებული პროდუქციის საწყობებიდან (ქვიშა, ღორღი) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ} \quad \text{სადაც,}$$

ქვიშისთვის: (გ-9, გ-10 წყარო)

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_5 = 0,1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია და მერყეობს 1,3-დან 16-მდე

$K_7 = 0,6$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდანგ/მ² წმ
 $f = 50$ მ²-ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,2 \times 0,4 \times 0,002 \times 50 \times 0,4 = 0,0023 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,0023 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0,0726 \text{ ტ/წელ}$$

ანალოგიური იქნება გ-10 წყაროსთვის

ლორდისთვის: (გ-11 და გ-12 წყარო)

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_5 = 1,0$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

$K_6 = 1,2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტი და მერყეობს 1,3-დან 16-მდე

$K_7 = 0,4$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდანგ/მ² წმ

$f = 100$ მ²-ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვრ}} = 1,2 \times 1,0 \times 1,2 \times 0,4 \times 0,002 \times 100 \times 0,4 = 0,046 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვრ}} = 0,046 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 1,453 \text{ ტ/წელ}$$

ანალოგიური იქნება გ-12 წყაროსთვის

ნედლეულის მკვებავ ბუნკერში ჩაყრის დროს (გ-13 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვრ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 \times 0,4 / 3600 \text{ გ/წმ}$$

ამ შემთხვევაში კოეფიციენტების მნიშვნელობები შეადგენს:

$$K_1 - 0,05; K_2 - 0,03; K_3 - 1,2; K_4 - 0,1; K_5 - 0,01; K_7 - 0,4; K_9 - 0,2; B - 0,5; G - 64 \text{ ტ/სთ}$$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტენსივობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 0,1 \times 0,01 \times 0,4 \times 0,2 \times 0,5 \times 64 \times 10^6 \times 0,4 / 3600 = 0,0006 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0006 \times 2400 \times 3600 / 10^6 = 0,0052 \text{ ტ/წელ}$$

